CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION
კურაციო საერთაშორისო ფონდი

26 მარტი, 2019 წელი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგესალმებით საერთაშორისო ფონდი კურაციოს სახელით. მოგახსენებთ, რომ მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციისთან აფილირებული ჯანდაცვის პოლიტიკის და სისტემის კვლევის ალიანსის (The alliance for Health Policy and Systems Research - AHPSR) ინიციატივით 2018 წელს დააფინანსდა პროექტი სახელწოდებით „ ჯანდაცვის პოლიტიკის და სისტემების კვლევის გამოყენების ინსტიტუციური შესაძლებლობების შექმნა ჯანდაცვის პოლიტიკის შემქმნელ ორგანიზაციებში“. პროექტი ხორციელდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ხუთივე რეგიონში, ბეირუტის ამრიკული უნივერსიტეტის (American University of Beirut- Knowledge to Policy Center - K2P) ხელმძღვანელობით. მოგახსენეთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია გახლავთ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ჰაბი.

პროექტის მიზანია საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში გრძელვადიანი და მდგრადი შესაძლებლობების განვითარება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებით ჯანდაცვაში. მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების ფასილიტირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების, წახალისებისა და სისტემების უზრუნველყოფა. მკვლევარებისა და პოლიტიკოსების და შესაბამისი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად. მკვლევარებსა და პოლიტიკოსებს შორის მჭიდრო კავშირებისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება და გაზრდა.

გვინდა გაცნობოთ, რომ თქვენი სამინისტრო შერჩეულია, როგორც ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანიზაცია და რათა მოხდეს თქვენი ორგანიზაციის შესაძლებლობის

გაძლიერება მტკიცებულებების გამოყენებაში, უნდა განხორციელდეს თქვენი ორგანიზაციის შეფასება როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ/ორგანიზაციულ დონეზე, რომ უკეთესად დაისახოს შესაძლებლობების გაძლიერების გეგმა.

მოხარული ვიქნებით თუ დაგვიდასტურებთ თქვენს მონაწილეობას აღნიშნულ პროექტში. უახლოეს პერიოდში გამოგიგზავნით შეფასების ინსტრუმენტებს ინდივიდუალური შეფასებისთვის, ხოლო ორგანიზაციულ შეფასებას ჩვენი მკველავართა გუნდი ჩაატარებს. გთხოვთ გამოყოთ თქვენ ორგანიზაციაში ამ საკითხთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი.

დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის. დამატებით დეტალებთან დაკავშირებით დაგიკავშირდებით აუხლოეს მომავალში.

კითხვების შემთხვევაში გთხოვთ მომწეროთ ელ-ფოსტაზე m.uchaneishvili@curatio.com .

პატიცისცემით,

მაია უჩანეიშვილი

კვლევითი განყოფილების დირექტორი